

შპს “ლ.და.კ”

ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	6-15

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ლ.და.კ“-ს (შემდგომში-„კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 28 ნოემბერს.

დირექტორი:

კობა ლომიძე

28 ნოემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ლ.და.კ“-ს (შემდგომში-„კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 28 ნოემბერს.

დირექტორი:

კობა ლომიძე



28 ნოემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1 026 849	1 023 802
არამატერიალური აქტივები	5	1 131	1 234
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 027 980	1 025 036
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	2 697 592	1 749 726
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	6 755 523	404 269
საგადასახადო აქტივი		-	264 911
გადახდილი ავანსები	8	946 191	120 098
გაცემული სესხები		1 050 505	641 290
შეზღუდული ფულადი სახსრები	10	1 182 137	18 252
ფული და ფულის ექვივალენტები	9	2 643 442	400 431
სულ მიმდინარე აქტივები		15 275 390	3 598 977
სულ აქტივები		16 303 370	4 624 013
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		3 778 139	346 240
სულ კაპიტალი		3 778 139	346 240
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	-
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ნაწილი	11	-	86 466
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	86 466
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6 039 010	967 831
მიღებული ავანსები		5 330 597	1 390 976
გადასახდელი ხელფასები		714	56 814
საგადასახადო ვალდებულებები		8 246	-
მიღებული სესხები	13	860 920	1 557 375
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	11	285 744	218 311
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12 525 231	4 191 307
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 303 370	4 624 013

დირექტორი:

კობა ლომიძე

28 ნოემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ.და.კ“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1 026 849	1 023 802
არამატერიალური აქტივები	5	1 131	1 234
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 027 980	1 025 036
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	2 697 592	1 749 726
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	6 755 523	404 269
საგადასახადო აქტივი		-	264 911
გადახდილი ავანსები	8	946 191	120 098
გაცემული სესხები		1 050 505	641 290
შეზღუდული ფულადი სახსრები	10	1 182 137	18 252
ფული და ფულის ექვივალენტები	9	2 643 442	400 431
სულ მიმდინარე აქტივები		15 275 390	3 598 977
სულ აქტივები		16 303 370	4 624 013
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		3 778 139	346 240
სულ კაპიტალი		3 778 139	346 240
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	-
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ნაწილი	11	-	86 466
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	86 466
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6 039 010	967 831
მიღებული ავანსები		5 330 597	1 390 976
გადასახდელი ხელფასები		714	56 814
საგადასახადო ვალდებულებები		8 246	-
მიღებული სესხები	13	860 920	1 557 375
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	11	285 744	218 311
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12 525 231	4 191 307
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16 303 370	4 624 013

დირექტორი:

კობა ლომიძე

28 ნოემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი



შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან		17 231 440	5 412 586
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		(13 582 315)	(5 013 079)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		2 335 547	1 072 403
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(1 934 236)	(791 123)
ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან		530	30 233
საერთო მოგება		4 050 966	711 020
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(506 183)	(347 741)
საპროცენტო შემოსავალი		92 521	48 522
საპროცენტო ხარჯი		(245 568)	(187 473)
ძირ. საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)		5 939	(17 308)
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		2 415	(41 061)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		31 809	198
მოგება დაბეგვრამდე		3 431 899	166 157
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		3 431 899	166 157
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		3 431 899	166 157

დირექტორი:

კობა ლომიძე

28 ნოემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან		17 231 440	5 412 586
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		(13 582 315)	(5 013 079)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		2 335 547	1 072 403
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(1 934 236)	(791 123)
ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან		530	30 233
საერთო მოგება		4 050 966	711 020
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(506 183)	(347 741)
საპროცენტო შემოსავალი		92 521	48 522
საპროცენტო ხარჯი		(245 568)	(187 473)
ძირ. საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)		5 939	(17 308)
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		2 415	(41 061)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		31 809	198
მოგება დაბეგვრამდე		3 431 899	166 157
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		3 431 899	166 157
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		3 431 899	166 157

დირექტორი:

კობა ლომიძე



28 ნოემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	-	180 083	180 083
პერიოდის სრული შემოსავალი	-	166 157	166 157
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	-	346 240	346 240
პერიოდის სრული შემოსავალი	-	3 431 899	3 431 899
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	3 778 139	3 778 139

დირექტორი:
კობა ლომიძე

28 ნოემბერი 2021 წელი
საქართველო, რუსთავი

შპს „ლ.და.კ“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	-	180 083	180 083
პერიოდის სრული შემოსავალი	-	166 157	166 157
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	-	346 240	346 240
პერიოდის სრული შემოსავალი	-	3 431 899	3 431 899
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	3 778 139	3 778 139

დირექტორი:
კობა ლომიძე



28 ნოემბერი 2021 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 6-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ლ.და.კ” შემდგომში - “კომპანია” რეგისტრირებულია 2007 წლის 24 ივლისს ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 216441232. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. საზოგადოების იურიდიული მისამართია საქართველო ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი #43/48; 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ერთადერთი პარტნიორი და 100 %-იანი წილის მფლობელია დავითი კაპანაძე, ხოლო კომპანიის დირექტორია კობა ლომიძე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასაჯაროების მიზნით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მუხლების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში მსს ფასს) და მათი მომზადების კონცეპტუალურ საფუძვლებთან, თუ ქვემოთ ჩამოყალიბებულ ცალკეული ფინანსური ელემენტების სააღრიცხვო პოლიტიკაში არ იქნა სპეციფიკურად სხვაგვარად მინიშნებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილ გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.4 ამონაგების აღიარება

კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში აღიარებს შემდეგი სახის ამონაგებს: ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან, ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან, ამონაგები სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რეალიზაციიდან, ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან.

საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მიხედვით, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით და არის საფუძველი შემკვეთის მიმართ მოთხოვნის წარმოშობისა.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

ამონაგების აღიარება იჯარით გაცემული აქტივებიდან ხდება თანაბარზომიერად იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება სტრანსპორტო მომსახურებიდან ხდება გაწეული მომსახურების შესაბამისად, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის შემცირებული თანხით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარი 2-10 წელი;
- კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი 3-10 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-15 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები 2-10 წელი;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რაც შეადგენს 10 წელს.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მომსახურების გაწევის ან საქონლის გაყიდვის შედეგად მისაღები თანხები. აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს აღიარებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

3.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ასევე, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.11 დღგ

კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლედი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით).

3.12 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსურ იჯარად ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე ერიცხება ცვეთა და ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისათვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული კრედიტორული დავალიანებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

საკუროსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.14 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

3.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც ხარჯს.

3.16 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარი	ოფისის ინვენტარი	ავთო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი 31.12.2019	-	1 091 674	5 746	5 076	218 689	2 000	1 323 185
შეძენა	-	63 904	19 787	1 186	153 236	100	238 213
გასვლა	-	-14 001	-2 046	-915	-112 314	-	-129 276
ბალანსი 31.12.2020	-	1 141 577	23 487	5 347	259 611	2 100	1 432 122
ცვეთა							
ბალანსი 31.12.2019	-	224 175	2 903	2 451	69 454	400	299 383
ცვეთა	-	131 141	3 313	791	24 253	410	159 908
გასვლა	-	-38 668	-620	-1 238	-13 491	-	-54 017
ბალანსი 31.12.2020	-	316 648	5 596	2 004	80 216	810	405 274
ბალანსი 31.12.2019	-	867 499	2 843	2 625	149 235	1 600	1 023 802
ბალანსი 31.12.2020	-	824 929	17 891	3 343	179 395	1 290	1 026 849

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ბალანსი 31.12.2019	3 477	3 477
შეძენა	-	-
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2020	3 477	3 477
ამორტიზაცია		
ბალანსი 31.12.2019	2 243	2 243
ამორტიზაცია	103	103
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2020	2 346	2 346
ბალანსი 31.12.2019	1 234	1 234
ბალანსი 31.12.2020	1 131	1 131

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019
მასალები	691 007	79 286
დაუმთავრებელი წარმოება	1 985 617	1 657 400
საწვავი	20 968	13 040
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2 697 592	1 747 726

დაუმთავრებელი წარმოების ნაშთი მოიცავს სხვადასხვა პროექტებზე გახარჯულ მასალებს და გაწეულ მომსახურებას. პროექტების დამთავრების შემდეგ, როდესაც პროექტიდან აღიარდება მისაღები შემოსავალი, ეს აქტივებიც გადატანილი იქნება პროექტებთან დაკავშირებულ თვითღირებულების ხარჯებში.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6 631 590	365 152
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	993	1 212
მისაღები პროცენტები	122 940	37 905
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6 755 523	404 269

8. გადახდილი ავანსები

	31.12.2020	31.12.2019
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	945 191	119 595
წინასწარ გადახდილი ხელფასები	1 000	503
სულ გადახდილი ავანსები	946 191	120 098

9. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები:

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	2 004 243	370 347
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	447 824	29 918
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	191 374	166
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	2 643 441	400 431

10. შეზღუდული ფულადი საშუალებები

შეზღუდული ფულადი საშუალებები წარმოადგენს ფულად სახსრებს ფინანსური ინტიტუტებისგან მიღებული გარანტიების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გარანტიები დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე სამუშაოების შესასრულებლად გაფორმებულ ხელშეკრულებებთან.

11. ფინანსური იჯარის ვალდებულება

კომპანიას 2020 წელს ორ წლიანი ფინანსური იჯარით შეძენილი აქვს მაღალი გამავლობის ავტომანქანა RANGE ROVER-ი, რომლის დაფარვის ვადაა 2022 წლის 15 თებერვალი. მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაა 15 წელი.

ფინანსური იჯარის ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც:

	31.12.2020	31.12.2019
მოკლევადიანი ვალდებულება	285 744	218 311
გრძელვადიანი ვალდებულება	-	86 466
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულება	285 744	304 777

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6 003 923	923 037
გადასახდელი პროცენტები	35 087	44 795
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6 039 010	404 269

13. მიღებული სესხები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების საბალანსე ნაშთები შემდეგია:

	ვალუტა	%	31.12.2020	31.12.2019
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	12.00	300 000	296 150
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	10.00	-	550 000
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	10.00	-	200 000
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	10.50	-	290 000
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	12.00	550 000	-
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	EUR	5.50	10 920	221 225
სულ მიღებული სესხები			860 920	557 375

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	295 008	244 393
კომუნიკაციის ხარჯი	1 865	1 790
საკანცელარიო ხარჯი	432	374
სამეურნეო ხარჯი	344	223
კომპიუტერის ხარჯი	630	167
კომუნალური ხარჯი	2 866	2 731
ცვეთა და ამორტიზაცია	9 607	2 224
საგადასახადო ხარჯი	4 425	2 216
დაზღვევის ხარჯი	-	528
საიჯარო მომსახურების ხარჯი	12 817	12 363
დაცვის მომსახურების ხარჯი	508	508
საბანკო ხარჯი	5 777	1 874
მივლინების ხარჯი	9 750	15 340
დამქირავებლის საპენსიოს ხარჯი	25 302	13 118
ჯარიმები და პირგასამტეხლო	84 487	46 685
სხვა ხარჯები	52 365	3 207
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	506 183	347 741

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2021 წლის 28 ნოემბერს.